ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N1

16 იანვარი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე.

მოწვეული სტუმრები:

სერგო ბირკაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;

სოფიო ხუნწარია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი;

გიორგი შალუტაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიასთან არსებული სათათბიროს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. ირაკლი ზარქუა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
2. თინათინ ნიბლოშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების შერწყმა;**

(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების ცვლილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულება და საშტატო ნუსხა).

მომხსენებელი:

1) სერგო ბირკაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;

2) სოფიო ხუნწარია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი;

2. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობების ტიპური დებულება და საშტატო ნუსხა."**

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. მან კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა დღის წესრიგი, ასევე, მომხსენებლები.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურის რეორგანიზაციის პროექტს, რომელიც გულისხმობს მართვის პროცესების ეფექტიანობის ზრდას, ოპტიმიზაციას, მათ გამარტივებას და ბიუროკრატიის შემცირებას. მისი თქმით, რეორგანიზაცია შეუძლებელია სტრუქტურული ცვლილებების გარეშე, კერძოდ, უნდა განხორციელდეს სხვადასხვა საქალაქო სამსახურების შექმნა, არსებულების გაერთიანება და ზოგიერთ ნაწილში - გამოყოფა, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციების გაუმჯობესება, გამგეობებში პრიორიტეტების ახალ პრინციპებზე დაფუძნება და მთლიანობაში, საქმიანი პროცესების მოდერნიზება.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც შეეხო აღნიშნული რეორგანიზაცია, არის განათლება და კულტურა. შესაბამისად, კომისიის დღის წესრიგით გათვალისწინებულია შესაბამისი დადგენილებების განხილვა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური და ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ერთიანდება სტრუქტურულად და უკვე ერთი ქოლგის ქვეშ განახორციელებენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, განათლებისა და კულტურის მიმართულებით, აღნიშნულის გარდა, ნიშანდობლივია, რომ თბილისის გამგეობებში გაგრძელდება საგანმანათლებო და კულტურული საქმიანობა, რომელიც მოცემულ დრომდე ხორციელდებოდა.

მანვე აღნიშნა, რომ გამგეობების დებულებათა საპროექტო დოკუმენტაციაში არსებობს გარკვეული ტექნიკური ხარვეზები. კერძოდ, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ'' წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გულისხმობს გამგეობებში <u>კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებების</u> შექმნას, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ გამგეობების დებულებით აღნიშნული განყოფილებები ახორციელებენ განათლების მიმართულებებით ფუნქციებს, კომისია თვლის, რომ წარმოდგენილ პროექტში გამოტოვებულია განათლების მიმართულება, რომელიც გამგეობის ფუნქციებში მკაფიოდ არის გაწერილი. შესაბამისად, სასურველია კომისიამ წარადგინოს წინადადება, რომ გამგეობათა შესაბამისი განყოფილების სახელში გაჩნდეს განათლების მიმართულებაც, რაც უფრო ეფექტურად წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულის არსსა და ფუნქციებს.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა დამსწრეთ აცნობა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი, ბატონი სერგო ბირკაძე მიმდინარე პერიოდის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა შესაბამისი პროექტების შემუშავებაზე და შედეგად, ის თავად წარმოადგენს დაგეგმილი ცვლილებების ძირითად ასპექტებს, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიას აინტერესებს.

1. ბატონი სერგო ბირკაძე მიესალმა სხდომის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ეთანხმება კომისიის თავმჯდომარის შენიშვნას ხსენებულ ხარვეზთან დაკავშირებით. მისი თქმით, დღეისათვის გამგეობათა ხსენებული სტრუქტურული დანაყოფები ისედაც ახორციელებენ განათლების მიმართულებით ფუნქციებს, შესაბამისად, საკრებულოსთვის წარმოდგენილ დადგენილების პროექტში არსებობს რედაქციული ხასიათის შეცდომა, შესაბამისად, მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური გაითვალისწინებს კომისიის შენიშვნას.

ბატონმა სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ მიმდინარეობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაცია, მათ შორის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ნაწილში, აგრეთვე ურბანული განვითარების, გარემოს დაცვის, ეკოლოგიის, ტრანსპორტის და სხვა სფეროებში. მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა აგრეთვე, აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციებს, რომელიც თავის მხრივ, აისახა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობათა დებულებებშიც. როგორც ცნობილია, გამგეობათა ტიპური დებულება ითვალისწინებდა მომსახურების განყოფილებას, რომლებიც წარმოდგენილი პროექტით უქმდება. ამ განყოფილების ფუნქციები გადადის ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში, სადაც ცენტრალიზებულად განხორციელდება მუნიციპალური სერვისების მართვა. ბატონი სერგოს თქმით, ასეთი ცვლილება თბილისის მოსახლეობას ძალიან გაუმარტივებს სერვისების მიღებას, რადგან ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება ნებისმიერი ადგილიდან მიიღოს მუნიციპალური მომსახურება.

ბატონი სერგო ბირკაძის ცნობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობათა ტიპური დებულების პროექტით სხვა არსებითი ცვლილება არ ხორციელდება. მანვე აღნიშნა, რომ დღეისათვის გამგებლებს ჰყავთ არაუმეტეს სამი მოადგილე, ახალი დებულებითაც იგივე წესი იმოქმედებს, თუმცა მათი კომპეტენციები, ძირითადად, მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე ზრუნვა იქნება. მისი თქმით, გამგეობის თანამდებობის პირები და თანამშრომლები მხოლოდ მიმდინარე საკითხების გადაჭრით არ უნდა იყვნენ დაკავებულები, ქ. თბილისის მერია თვლის, რომ მათ უფრო მეტი ფუნქციები უნდა დაეკისროთ და ამიტომ, მათი კომპეტენციები შედარებით ფართოვდება, მათ შორის, განვითარების, ინფრასტრუქტურის მშენებლობის თუ სხვა კუთხით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსს და სთხოვა, წარმოედგინა ცნობები ქ. თბილისის მერიის გამგეობათა საშტატო ნუსხებთან დაკავშირებით.

ბატონმა სერგომ საპასუხოდ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს აღნიშნულ საშტატო ნუსხებში მცირე შემცირებას, რაც გამოწვეულია გამგეობათა მომსახურების განყოფილებების გაუქმებით. მისივე თქმით, გამგეობის ტიპური დებულება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა გამგეობისთვის ერთნაირია, თუმცა ცალკეული გამგეობების მოსახლეობის ოდენობის, ტერიტორიული თავისებურებების გათვალისწინებით, გამგეობებში შეიძლება სხვადასხვა რაოდენობის თანამშრომლები მუშაობდნენ, რაც რაიონის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია ქ. თბილისის იურიდიული საქალაქო სამსახურის მხრიდან განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ წარდგენილი შენიშვნის გათვალისწინება.

კომისიის წევრმა, ბატონმა ლადო ძნელაძემ აღნიშნა, რომ იგი მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, სერგო ბირკაძემ, ლადო ძნელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტების დადებითად შეფასებისა და მათი თბილისის საკრებულოსთვის განსახილველად გადაგზავნის შესახებ.

მომხრე _____ 7

წინააღმდეგი _____ 0

თავი შეიკავა _____ 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტების განხილვის შედეგად, დაადგინა, რომ:

კომისია არსებითად დადებითად აფასებს აღნიშნული დადგენილების პროექტებს და მხარს უჭერს მათ გატანას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად შემდეგი დათქმით:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის დანართი N1-ით გათვალისწინებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის ტიპური დებულების" **მე-7 მუხლის** (გამგეობის სტრუქტურული ერთეულები) **მე-2 პუნქტის „ვ"** ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება;"

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის დანართი N9-ით გათვალისწინებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის - რაიონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების ტიპური დებულების" **დასათაურება შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის - რაიონის გამგეობის კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების ტიპური დებულება"

აღნიშნული დებულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - თბილისი) რაიონის გამგეობის კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების ტიპური დებულება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, განსაზღვრავს თბილისის რაიონის გამგეობის (შემდგომში - გამგეობა) კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფლებამოსილებებს, სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.''

აღნიშნული დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება (შემდგომში – განყოფილება) არის კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით შექმნილი გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულების პროექტების დროულად და მაღალი ხარისხით განხორციელებას.''

აღნიშნული დებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი **2.** განყოფილების ძირითადი მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

1. განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით პროექტებისა და **მომსახურებების** ინიცირება;

ბ) ხარისხიანი და დეტალური პროექტის გეგმის შედგენა და მართვა;

გ) დაგეგმილი სამუშაოების მაღალი ხარისხით და დროულად განხორციელების უზრუნველყოფა.

2. განყოფილების ძირითადი ფუნქციებია:

ა) კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებებით პროექტების წლიური გეგმის შედგენა;

ბ) მიმდინარე რეჟიმში შემოტანილი განცხადებებსა და გამოვლენილი პრობლემებზე დაყრდნობით კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით პროექტების განხორციელების ინიციატივების შემუშავება;

გ) კორესპონდენციების განხილვა, რეაგირების გზების მოფიქრება და წარდგენა ხელმძღვანელთან;

დ) პროექტების მართვა, გეგმების, ვადებისა და შესაბამისი პროექტებისათვის გამოყოფილი ფინანსების კონტროლი;

ე) პროექტების განხორციელებისთვის საჭირო შესყიდვების მოთხოვნების დადგენისა და შეფასების პროცესში მონაწილეობა;

ვ) კულტურის, **განათლების,** სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით პროექტებში ჩართული მოსახლეობისთვის მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან ურთიერთობების განვითარება;

ზ) დაგეგმილი პროექტებისა და პროგრამების მუდმივი ანალიზი, გაუმჯობესების შესაძლებლობების აღმოჩენა;

თ) წარმატებული პროექტების გამოვლენა, შესწავლა, მათი **მომსახურებებად** ფორმირება და დამკვიდრება;

ი) პროექტების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემების, ვადების დარღვევის რისკების, არასათანადო ხარისხის მიღწევის რისკების დროულად აღმოჩენა,

მიზეზების მოკვლევა და საკითხის გატანა პროექტებისა და პროგრამების კოორდინაციისა და მართვის საბჭოზე;

კ) მიმდინარე და დასრულებული პროექტების შესახებ ანგარიშების წარდგენა ხელმძღვანელთან.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შემდეგ დანართებში:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 1);

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 2);

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 3);

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 4);

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 5);

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 6);

ზ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 7);

თ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 8);

ი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 9);

კ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხა (დანართი 10).

გათვალისწინებულ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებას შეეცვალოს სახელწოდება და ჩამოყალიბდეს, როგორც „კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება".

2. კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგის შემდეგი საკითხი, რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის შერწყმის შედეგად გაერთიანებული სამსახურის ჩამოყალიბებას ეხება. კერძოდ, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ფორმირების საკითხი.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წინა მოწვევის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებისთვის კარგად არის ცნობილი, ამავე კომისიის საერთო პოზიცია, რომ როდესაც მოხდა ქ. თბილისის მერიის სოციალური სამსახურის რეორგანიზება, მაშინ კულტურა და განათლება სხვადასხვა სამსახურში გაერთიანდა, რაც არ იყო მიზანშეწონილი. კომისიის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ გარკვეული დროის შემდეგ განათლების და კულტურის სამსახურები უნდა გაერთიანებულიყვნენ რეორგანიზაციის საფუძველზე. შესაბამისად,

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტს ქ. თბილისის მერიის კულტურის სამსახურისა და განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის გაერთიანების შესახებ, გონივრულ და ბუნებრივ ნაბიჯად მიიჩნევს.

პროექტით წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი განათლებისა და კულტურის კომისიას საფუძველს აძლევს თქვას, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია განათლებისა და კულტურის მიმართულებები ინარჩუნებს ყველა იმ ფუნქციას, რომელსაც დღემდე ახორციელებდა ორი ცალკეული საქალაქო სამსახური. მცირედი ცვლილება ეხება კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების ნაწილს და იგი გულისხმობს ორგანიზაციული ხასიათის საკითხებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის როლის გაზრდას.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, კომისიის შენიშვნა ეხება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე" დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტს და კომისიის წინადადებაა, რომ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, <u>რელიგიური,</u> სახალხო და სახელმწიფო დღესასწაულების მზადებაში თბილისის <u>მუნიციპალიტეტის</u> მონაწილეობის <u>უზრუნველყოფა.</u>"

ნაცვლად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული შემდეგი რედაქციისა:

,,სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, სახალხო და სახელმწიფო დღესასწაულების მზადებაში თბილისის მონაწილეობის მიღების მომზადების უზრუნველყოფა".

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რედაქცია ბუნდოვანი გააზრების საშუალებას ტოვებს. ასევე, ხარვეზულია წარმოდგენილი პროექტის დანართით გათვალისწინებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, კულტურის ობიექტების მართვისა და დაგეგმარების განყოფილების ფუნქციას განეკუთვნება:

,,მედიათეკებისა და ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის ხელშემწყობი პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა". ამ პუნქტში სიტყვა - **ბიბილიოთეკების** ნაცვლად წერია **ბიბლიოთეკა.** თბილისში მოქმედებს ბიბლიოთეკების გაერთიანება, რომელიც მოიცავს არაერთ ბიბლიოთეკას, შესაბამისად, ახალ დებულებაში ბიბლიოთეკის მხოლობით რიცხვში მითითებამ, შეიძლება გამოიწვიოს ნორმის არასწორი განმარტება. ნორმის მოქმედების ფარგლების დაზუსტებისთვის მიზანშეწონილია, სიტყვა

,,ბიბლიოთეკის'' ჩანაცვლება ტერმინით ,,ბიბლიოთეკები'' აქედან გამომდინარე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) მედიათეკებისა და ბიბლიოთეკების პოპულარიზაციის ხელშემწყობი პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა''.

ქალბატონი თამარის განმარტებით, ორგანიზაციულ ნაწილში ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის როლის გაძლიერება მისასალმებელია, ვინაიდან წლის განმავლობაში დედაქალაქი აღნიშნავს თბილისობას, ახალ წელს, 26 მაისს, ასევე, სხვა სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებს და აქ მნიშვნელოვანია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურის საქალაქო სამსახურმა შეძლოს მუშაობის გაგრძელება შეუფერხებლად მიმდინარე საკითხებზე.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ასევე, აღნიშნა რომ განათლებისა და კულტურის კომისია 2014 წლიდან აქტიურად მუშაობს დედაქალაქის კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შექმნის საკითხზე და შესაბამისად, მიესალმება კულტურის სტრატეგიაზე მუშაობის ფუნქციის გაწერას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში. მისი თქმით, არსებითად მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნული საქალაქო სამსახურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობა.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს ქალბატონ სოფიო ხუნწარიას, რომელიც აღნიშნა, რომ მისი აზრით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის და მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების გაერთიანებით დედაქალაქი მიიღებს უფრო მოქნილ სისტემას, ხოლო ფუნქციურად, პრიორიტეტები იქნება სწორად გადანაწილებული კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებებით.

ქალბატონი სოფიოს განმარტებით, მიმდინარე რესტრუქტურიზაციის შემდეგ, მერია დაიწყებს მუშაობას და რამდენიმე კვირაში შესაძლებელი იქნება, წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა ფუნქციურად, თუ როგორ შეერწყმება აღნიშნული ორი სამსახური ერთმანეთს.

კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ქალბატონ სოფიოს და სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია საქალაქო სამსახურის განყოფილებების შესახებ, რაზეც ქალბატონმა სოფიომ აღნიშნა, რომ კულტურის საქალაქო სამსახურს ჰქონდა 3 განყოფილება: მართვისა და კოორდინაციის, მონიტორინგისა და კულტურული პროექტებისა და პროგრამების განყოფილება. მისივე თქმით, მონიტორინგის კუთხით, მერიის კულტურის სამსახურის და განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა

სამსახურის მონიტორინგის განყოფილება გაერთიანდა და მასში 5-ის ნაცვლად იმუშავებს 10 თანამშრომელი.

ბატონმა სერგო ბირკაძემ დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილებას, ყველა საბიუჯეტო პროგრამა და ქვეპროგრამა უცვლელი დარჩება და უახლოეს მომავალში თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი იქნება ბიუჯეტის პროექტი, სადაც განხორციელდება მხოლოდ რედაქციული ცვლილებები. შესაბამისად, ადგილი აქვს მხოლოდ სტრუქტურულ ოპტიმიზაციას. მისი თქმით, სისტემური მმართველობის კუთხით, გაერთიანებული სამსახური უფრო ეფექტიანად განახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, შტატების ნაწილში არის გარკვეული ოპტიმიზაცია, მაგრამ ისეთი ხასიათის, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურის მიერ მასზე დაკისრებული ყველა ფუნქციის შესრულებას, იმის გათვალისწინებით, რომ მერიის ადმინისტრაციას გაეზარდა ღონისძიებების და პროექტების განხორციელების ფუნქციები და შტატებიც დაემატა.

საკრებულოს წევრი ბატონი ირაკლი ზარქუა დაინტერესდა, წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, თუ როდის დაიწყება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება თბილისის მერიაში. რაზეც ბატონმა სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ პროცედურები დაიწყება მიმდინარე წლის 22 თებერვლიდან, აღნიშნული თარიღი მითითებულიც არის წარმოდგენილი დადგენილების პროექტში. მანვე აღნიშნა, რომ თბილისის მერია თბილისის საკრებულოს დამატებით წარმოუდგენს თანმდევი სამართლებრივი აქტების პროექტებს, რომლებიც შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მერიის სტრუქტურულ ცვლილებებთან.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ მიმდინიარე წლის 22 თებერვლის შემდგომ შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სიახლეები ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრების ეკონომიასთან ან გადანაწილებასთან დაკავშირებით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია არა ეკონომიები, არამედ დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება, რომ მათი პირობები გაუმჯობესდეს. ამისათვის, თუ საჭირო გახდება, ქ. თბილისის საკრებულო გაზრდის, შეამცირებს ან უცვლელად დატოვებს ბიუჯეტის ხარჯებს.

ბატონმა სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერიის სტრუქტურული რეორგანიზაცია ორიენტირებულია არა შტატების შემცირებაზე, არამედ, ფუნქციურ გარდაქმნაზე, სწორი მართვის პოლიტიკის დანერგვაზე და სწორი და ეფექტიანი მართვის სტრუქტურის შექმნაზე.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის კულტურის სამსახურის და მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის შეერთების შედეგად, ახალი სამსახური განახორციელებს ყველა პროგრამა-

ქვეპროგრამას. მისი თქმით, იმავე ბიუჯეტის ფარგლებში, ხორციელდება მართვის ეფექტიანობის ზრდა და ეს პასუხობს მოქალაქეებისგან უკეთესი მომსახურებების მიღების მოთხოვნას. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ ეკონომიად ვერ ჩაითვლება დასაქმებულთა სამსახურიდან დათხოვნა და ამ გზით ეკონომია ვერ გაკეთდება.

სიტყვა გადაეცა განათლებისა და კულტურის კომისიასთან არსებული სათათბიროს წევრს ბატონ გიორგი შალუტაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ ძალიან ბევრ ქვეყანაში, სადაც განათლებისა და კულტურის სფეროები გაერთიანებულია, კულტურა, ხშირ შემთხვევაში, უკან იწევს ხოლმე. ამ დროს ხელმძღვანელ პერსონას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მან ნდობა გამოუცხადა ქალბატონი სოფიო ხუნწარიას.

ბატონი გიორგის თქმით, კულტურის უკან დაწევა იმით არის განპირობებული, რომ მაგალითად, სპორტში უკუგება მალევე ხდება, ხოლო კულტურის სფეროში დაშვებული შეცდომები 10 წლის მერეც იჩენს თავს. მან ასევე მოიყვანა სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმად, მიმდინარე წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, დასარტყამ, ჩასაბერ, სიმებიან ინსტრუმენტებზე აბიტურიენტთა რაოდენობა შეადგენდა ნულს, ხოლო ვიოლინოზე - მხოლოდ ერთს.

საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის კულტურული განვითარების დოკუმენტის თემაზე თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ არაერთხელ გააკეთა აქცენტი და სწორედ მისი რეკომენდაციების შესაბამისად საკითხს უკვე აქვს საბიუჯეტო მხარდაჭერა. შედეგად, მუშაობა უკვე დაწყებულია და დედაქალაქს მალე ექნება კულტურის დოკუმენტი.

ბატონი გიორგი შალუტაშვილის განმარტებით, პოლონეთში, სადაც განსაზღვრულია თეატრების ფუნქცია, ფაქტობრივად, სახელმწიფო სტრუქტურების კულტურის სამსახურებს სამუშაო აღარ აქვთ. რაზეც ქალბატონმა სოფიომ ხუნწარიამ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერია ზუსტად პოლონეთის მოდელის გადმოღებაზე მუშაობს.

ქალბატონი სოფიო ხუნწარიას ინფორმაციით, ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს შეხვედრა ჰქონდა თეატრების ხელმძღვანელებთან პოლონურ მოდელთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ თეატრების ხელმძღვანელებსაც მოსწონთ აღნიშნული მოდელი. კულტურის სამსახური ასევე, ცდილობს თბილისის სახელოვნებო სკოლებში პრიორიტეტი მიანიჭოს და გააძლიეროს ის პროფესიები, რომლებიც ამ ეტაპზე არ არის პოპულარული. მისივე თქმით, კარგი იქნება თუ აღნიშნულ საკითხებზე შედგება სამუშაო ჯგუფი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, სოფიო ხუნწარიამ, სერგო ბირკაძემ, ირაკლი ზარქუამ, გიორგი შალუტაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მათი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ:

მომხრე _____ 7

წინააღმდეგი _____ 0

თავი შეიკავა _____ 0

გადაწყვიტეს:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ** თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული დადგენილების პროექტს და მხარს უჭერს მის გატანას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად, შემდეგი დათქმით:

დადგენილების დანართით გათვალისწინებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების'' მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,მ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, <u>რელიგიური,</u> სახალხო და სახელმწიფო დღესასწაულების მზადებაში თბილისის <u>მუნიციპალიტეტის</u> მონაწილეობის <u>უზრუნველყოფა.</u>''

ხოლო, აღნიშნული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) მედიათეკებისა და <u>ბიბლიოთეკების</u> პოპულარიზაციის ხელშემწყობი პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა''.

2. განათლებისა და კულტურის კომისიას არ აქვს არსებითი სახის შენიშვნები და რეკომენდაციები **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიმართ,** დადებითად აფასებს მას და მხარს უჭერს მის გატანას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. განათლებისა და კულტურის კომისიამ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და მსჯელობის შედეგად დაადგინა", რომ განათლებისა და კულტურის კომისიას არ აქვს არსებითი სახის შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მას და მხარს უჭერს მის გატანას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი ----------